ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2338498

ნომერი: AR1359217

თარიღი : 25.11.2015

გაცემის თარიღი : 16.12.2015

გაცნობის თარიღი : 17.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/11/2015 წლის

AR1359217 განცხადებით მომართეს რამაზ ტვილდიანმა და მერაბ ტალახაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. #01.72.14.036.647), შ.პ.ს ,,ვილასეტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 03 ნოემბრიდან 2017 წლის 03 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებით შეთანხებული პროექტის ტიპიური სართულის გეგმას აკლია ბოლო სართულის ბინების ნომრები. აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლების შეცვლას, რადგან ბინების რაოდენობა ტექნიკურ მაჩვენებლებში არ ფიგურირებს, შესაბამისად წარმოადგინა შესწორებული ტიპიური სართულის გეგმა.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმა (ტიპიური სართულის, 3.3; 6.6; 9.9; 13.2 და 16,5 ნიშნულზე) შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს. მხოლოდ, ტექნიკური შეცდომა იყო დაშვებული და თითოეულ ბინაზე ოთხის ნაცვლად, ხუთი ბინის ნომერი უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებით შეთანხმებული ტიპიური სართულის გეგმა (
3.3; 6.6; 9.9; 13.2 და 16.5 ნიშნულზე მ 1:100) ჩანაცვლდეს 25/11/2015 წლის AR1359217 განცხადებით წარმოდგენილი ტიპიური სართულის გეგმით (3.3; 6.6; 9.9; 13.2 და 16,5 ნიშნულზე მ. 1:200).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებით შეთანხმებული ტიპიური სართულის გეგმა (
3.3; 6.6; 9.9; 13.2 და 16.5 ნიშნულზე მ 1:100) ჩანაცვლდეს 25/11/2015 წლის AR1359217 განცხადებით წარმოდგენილი ტიპიური სართულის გეგმით (3.3; 6.6; 9.9; 13.2 და 16,5 ნიშნულზე მ. 1:200).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/11/2015 წ. №2273969 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.